

**შპს „პარაგონი“
ს/კ 205246848
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7

შპს „პარაგონი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები გამოხატულია ლარში

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტი	1,356,772	1,866,688	2,368,490
დებიტორული დავალიანება	97,737	105,216	243,702
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	947	900	697
ძირითადი საშუალებები	31,133	27,887	40,582
სხვა მოთხოვნები	590,830	268,599	3,647
სხვა აქტივები	-	38,529	126,850
საგადასახადო აქტივი	-	-	70,357
სულ აქტივები	2,077,419	2,307,819	2,854,325
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	31,100	13,107	11,336
გადასახდელი ხელფასები	18,600	-	3,255
საგადასახადო ვალდებულება	11,700	18,966	-
სხვა ვალდებულება	53,653	17,072	100,399
სულ ვალდებულებები	115,053	49,145	114,990
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	466,752	96,753	3,621
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	1,495,614	2,161,921	2,735,714
სულ კაპიტალი	1,962,366	2,258,674	2,739,335
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2,077,419	2,307,819	2,854,325

დირექტორი:

ნათია კვაჭაძე

eSigned by:
ნათია კვაჭაძე: 18551e06-202b-4f53-a40d-4757....

Certified by Signify

2 ოქტომბერი 2024 წ.


თბილისი, საქართველო

შპს „პარაგონი“
კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება
2023 წლის მდგომარეობით
თანხები გამოხატულია ლარში

	2023 წ.	2022 წ.
შემოსავლები მომსახურებიდან	381,246	1,221,797
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები	-	-
შრომის ანაზღაურების ხარჯი	-	-
კომუნალური ხარჯი	-	-
ცვეთის ხარჯი	(5,823)	-
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	(721,995)	(1,060,691)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	877	3,996
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	(243,435)	(667,494)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	-
მოგება დაბეგვრამდე	(589,130)	(502,392)
მოგების გადასახადი	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	(589,130)	(502,392)

დირექტორი:

ნათია კვაჭაძე



2 ოქტომბერი 2024 წ.

თბილისი, საქართველო

შპს „პარაგონი“

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები გამოხატულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3,621	2,735,714	2,739,335
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(542,414)	(542,414)
საწესდებო კაპიტალის შემცირება/გაზრდა	96,753	-	96,753
დივიდენდის გატანა	-	(35,000)	(35,000)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	100,374	2,158,300	2,258,674
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(589,130)	(589,130)
საწესდებო კაპიტალის შემცირება/გაზრდა	369,999	-	369,999
დივიდენდის გატანა	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	(77,177)	(77,177)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	470,373	1,569,170	1,962,366

დირექტორი:

ნათია კვაჭაძე

eSigned by:
ნათია კვაჭაძე: c7c11cd9-92af-44a0-8030-3907....
ნათია კვაჭაძე
Certified by Signify

2 ოქტომბერი 2024 წ.

თბილისი, საქართველო

შპს „პარაგონი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები გამოხატულია ლარში

	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(493,275)	1,861,093
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	877	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	3,098
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(492,397)	1,864,191
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(17,519)	(39,694)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,866,688	543,993
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,356,772	2,368,490

დირექტორი:

ნათია კვაჭაძე

eSigned by:
ნათია კვაჭაძე: e31e8071-a48f-45dd-a18d-4cd6....

Certified by Signify

2 ოქტომბერი 2024 წ.

თბილისი, საქართველო

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „პარაგონი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2008 წლის 27 მარტს დაფუძნებული. კომპანიის იურიდიული მისამართს წარმოადგენს, საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, არაყიშვილის ქ. 16/4.

კომპანიის არის უძრავი ქონების სააგენტო და ახორციელებს მასთან დაკავშირებული მომსახურებებს. კომპანია, გარდა აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლისა, ასევე, იღებს შვილობილი კომპანიიდან დივიდენდს.

შპს “შპს ჯ.მილერ ინტერნეიშენალ ჯორჯია” (ს/კ:404463371), ძველი დასახელება „ბი ეიჩ პი ინტერნეიშენალ (ჯორჯია)“, დაფუძნებულია 2014 წლის 13 იანვარს. კომპანიის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს, საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ბარათაშვილის ქ., N2. მის ძირითად საქმიანობას არის სამშენებლო პროექტების შემუშავება. კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს „პარაგონი“.

შპს „პარაგონის“ მფლობელები არიან:

დამფუძნებელი	საიდენტიფიკაციო ნომერი	წილი	რეზიდენტობა
ნიკოლოზ ურუშაძე	01005003987	51 %	საქართველო
გიორგი კვაჭაძე	01010009598	33.33 %	საქართველო
ნათია კვაჭაძე	11001001060	15.67 %	საქართველო

შპს „პარაგონის“ დირექტორები არიან:

დირექტორი	საიდენტიფიკაციო ნომერი	რეზიდენტობა
ნიკოლოზ ბაგაური	01027047182	საქართველო
ნათია კვაჭაძე	11001001060	საქართველო

შპს “შპს ჯ.მილერ ინტერნეიშენალ ჯორჯია” (ს/კ:404463371) დირექტორები არიან:

დირექტორი	საიდენტიფიკაციო ნომერი	რეზიდენტობა
ნიკოლოზ ურუშაძე	01005003987	საქართველო
ალასდაირ დევიდ ბარნარდი	761053168	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის, სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
1 USD/GEL	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9753	2.8844

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. კომპანიის ხელმძღვანელებმა და მფლობელებმა მიმოიხილეს მიმდინარე პერიოდის კრიზისული ეკონომიკური გარემო, სხვადასხვა გავლენა ბიზნეს პროცესებზე, რის შედეგადაც ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კომპანიამ მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაშვებით. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე საფუძველი, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს წელს, რომელიც იყება 1 იანვრიდან და მთავრდება 31 დეკემბრს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში წარედგინება აკუმულირებული ცვეთის გამოკლებით. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე. ორივე საწარმოში ძირითადი საშუალებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს

კომპიუტერული ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა.

მარაგები

მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემენის დანახარჯებს. მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. რეალიზებული პროდუქციის ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლისათვის საქონლის და მომსახურების მიწოდებიდან. ასევე მოიცავს მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა არ აღემატება 12 თვეს.

კომპანია არ აღიარებს სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების რეზერვს, რადგან არ გააჩნია მისაღებ თანხებთან დაკავშირებული დანაკარგების გამოცდილება. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკის და სარგებლის კომპანიიდან გასვლა.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებს წარმოადგენს სავაჭრო ვალდებულებები, მიღებული ავანსები და ნასესხები სახსრები.

სავაჭრო ვალდებულებები მოკლევადიანი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა არ აღემატება 12 თვეს.

ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტი აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში, პერიოდის საპროცენტო ხარჯად.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. გაუნაწილებელი მოგების განაწილება ხდება დივიდენდის სახით დამფუძნებელთა შორის წილების პროპორციულად.

ამონაგები

კომპანია შემოსავალს აღიარებს დაპირებული საქონლის და მომსახურების მომხმარებლებისათვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის და მომსახურების გაცემის სანაცვლოდ.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება გაწევისთანავე მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუხარჯებისაგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის

განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

გადასახადები

კომპანია გადასახადების აღიარებასა და გადახდას ახორციელებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

ასევე, მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანაგარიშებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაზის სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებსა და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებებზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან,

რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას და ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

დირექტორი:

ნათია კვაჭაძე

2 ოქტომბერი 2024 წ.

თბილისი, საქართველო